# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №29

ქ. ბათუმი 25.02.2011 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, ერთის მხრივ სსიპ **„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"** (ქ.ბათუმი, ე.ნინოშვილის ქ.№35) წარმომადგენელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ლეკვეიშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ **ი.მ. „შუშუნა მაკარაძე"** (ქ.ბათუმი, მ. აბაშიძის გამზ. №35) შემდგომში „მიმწოდებელი", გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: საქონელის მიწოდება: მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს **(საგრანტო პროექტი №GNSF/ST08/8-521-ის ფარგლებში)** მიაწოდოს ხელშეკრულების დანართი 1-ში (ფორმა 3) მითითებული საქონელი.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონელის ღირებულება 200 (ორასი) ლარი.

## 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია მის მიერ მიწოდებული საქონელის ხარისხსა და ვარგისიანობაზე, მომსახურეობის დროულობაზე, შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებული გამოასწოროს აღნიშნული ნაკლი ან შეცვალოს ახლით, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯის გარეშე.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონელის ღირებულება.

3.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

3.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

3.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებებისაგან.

## 4. გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი მიწოდებული იქნება შეთანხმების სრული დაცვით.

## 5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხდება სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში (ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადების, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე).

5.2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

## 6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

6.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 7. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების დანართის (ფორმა 3) შესაბამისად.

### 8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

81. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

### 9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შესმსყიდველი ორგანიზაცია.

9.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

9.3. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს საქონლის ხარისხის ინსპექტირება.

94. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### 11. მიწოდებული საქონელის მიღება – ჩაბარება

11.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

11.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხის და რაოდენობის მიხედვით.

11.3. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

აღნიშნული ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 მარტამდე.

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება „შემსყიდველს“, ხოლო ერთი „მიმწოდებელს“.

### მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქ. ბათუმი ე.ნინოშვილის ქ. №35
**სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”**
*ანგარიშის №234566*
*საიდენტიფიკაციო კოდი: 245428158*
*მიმღების ბანკი: ს.ს. „ბაზის ბანკი“*
*ბანკის კოდი: 220101956*

____________________

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
[illegible]ავეიშვილი

„მიმწოდებელი“

ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზ. №35
**ი.მ. „ჟუჟუნა მაკარაძე”**
*ანგარიშის №GE42PC0033600100042012*
*საიდენტიფიკაციო კოდი: 61001034219*
*მიმღების ბანკი: ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“*
*ბანკის კოდი: MIBGGE22*

____________________

ინდ. მეწარმე
ჟუჟუნა მაკარაძე

დანართი 1

ფორმა 3

ცნობა
საქონლის/მომსახურების მიწოდების, ერთეულის ფასისა და რაოდენობის შესახებ.

| № | საქონლის/მომსახურების დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ღირებულება | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქაღალდი ა-4 ფორმატის | ცალი | 6 | 10 | 60 | ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ. №35 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 28 თებერვლამდე |
| 2 | საკანცელარიო, ხარეგისტრაციო ჟურნალი | ცალი | 8 | 1 | 8 | | |
| 3 | საქაღალდე | ცალი | 20 | 0,5 | 10 | | |
| 4 | ორგანაიზერი | ცალი | 1 | 16 | 16 | | |
| 5 | დისკი CD-RW | ცალი | 22 | 2 | 44 | | |
| 6 | ბაინდერი დიდი | ცალი | 4 | 5 | 20 | | |
| 7 | კორექტორი | ცალი | 2 | 1,5 | 3 | | |
| 8 | სტეპლერი | ცალი | 1 | 8 | 8 | | |
| 9 | ავტოკალამი | ცალი | 26 | 0,5 | 13 | | |
| 10 | ფაილი | შეკვრა | 3 | 6 | 18 | | |
| სულ | | | | | 200 | | |

მიმწოდებელი: